

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13
2025 წლის 27 ივნისი

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის საფუძველზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 21 დეკემბრის N21 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 190020020.35.139.016568 01/01/2025) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 91-ე მუხლის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის: 78-ე მუხლი მე-2 ნაწილის შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს დამტკიცდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:

თავი I. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი		2024 წლის ფაქტი		2025 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	49 982,9	47 848,8	36 417,6	11 431,2	55 444,8	43 623,4	11 821,4
გადასახადები	16 458,8	17 475,9	17 475,9	-	25 500,0	25 500,0	-
გრანტები	17 126,4	11 771,6	340,4	11 431,2	12 144,8	323,4	11 821,4
სხვა შემოსავლები	16 397,6	18 601,3	18 601,3	-	17 800,0	17 800,0	-
II. ხარჯები	29 478,8	33 036,0	32 636,4	399,5	39 160,9	38 137,4	1 023,4
შრომის ანაზღაურება	3 204,8	3 594,6	3 594,6	-	4 149,8	4 149,8	-



საქონელი და მომსახურება	4 522,5	4 558,7	4 393,3	165,4	5 379,6	5 270,0	109,6
სუბსიდიები	14 546,6	18 069,5	18 069,5	-	20 624,0	20 624,0	-
გრანტები	164,6	233,2	233,2	-	123,2	123,2	-
სოციალური უზრუნველყოფა	3 483,1	4 576,0	4 576,0	-	5 537,2	5 537,2	-
სხვა ხარჯები	3 536,9	1 992,9	1 758,8	234,1	3 340,6	2 426,8	913,8
III. საოპერაციო საღდო	20 504,0	14 812,8	3 781,2	11 031,6	16 283,9	5 485,9	10 798,0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	14 333,0	19 514,4	8 082,8	11 431,6	23 238,0	11 592,7	11 645,2
ზრდა	15 807,1	20 330,1	8 898,5	11 431,6	23 438,0	11 792,7	11 645,2
კლება	1 474,0	815,7	815,7		200,0	200,0	
V. მთლიანი საღდო	6 171,0	- 4 701,6	- 4 301,6	- 399,9	- 6 954,1	- 6 106,8	- 847,3
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	6 115,4	- 4 757,2	- 4 357,2	- 399,9	- 7 009,7	- 6 162,4	- 847,3
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
კლება	- 6 115,4	4 757,2	4 357,2	399,9	7 009,7	6 162,4	847,3
ვალუტა და დეპოზიტები	- 6 115,4	4 757,2	4 357,2	399,9	7 009,7	6 162,4	847,3
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	-	- 0,0	- 0,0	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი			2025 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	51 456,9	48 664,5	37 233,3	11 431,2	55 644,8	43 823,4	11 821,4
შემოსავლები	49 982,9	47 848,8	36 417,6	11 431,2	55 444,8	43 623,4	11 821,4
არაფინანსური აქტივების კლება	1 474,0	815,7	815,7	-	200,0	200,0	-
გადასახდელები	45 341,5	53 421,6	41 590,5	11 831,1	62 654,4	49 985,8	12 668,7
ხარჯები	29 478,8	33 036,0	32 636,4	399,5	39 160,9	38 137,4	1 023,4
არაფინანსური აქტივების ზრდა	15 807,1	20 330,1	8 898,5	11 431,6	23 438,0	11 792,7	11 645,2
ვალდებულებების კლება	55,6	55,6	55,6		55,6	55,6	



ნაშთის ცვლილება	6 115,4	- 4 757,2	- 4 357,22	- 399,9	- 7 009,7	- 6 162,4	- 847,3
-----------------	---------	-----------	------------	---------	-----------	-----------	---------

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **55 444,8** ათასი ლარის ოდენობით,თანდართული რედაქციით

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი			2025 წლის პროგნოზი		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	49 982,9	47 848,8	36 417,6	11 431,2	55 444,8	43 623,4	11 821,4
გადასახადები	16 458,8	17 475,91	17 475,9	-	25 500,0	25 500,0	-
გრანტები	17 126,4	11 771,57	340,4	11 431,2	12 144,8	323,4	11 821,4
სხვა შემოსავლები	16 397,6	18 601,3	18 601,3		17 800,0	17 800,0	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო გადასახადები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები **25 000,0** ათასი ლარის ოდენობით,თანდართული რედაქციით

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის პროგნოზი		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	16 458,8	17 412,4	17 412,4	-	25 500,0	25 500,0	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-			-		
დამატებითი ღირებულების გადასახადი	5 099,4	6 412,4	6 412,40		15 000,0	15 000,0	
ქონების გადასახადი	11 359,4	11 000,0	11 000,0	-	10 500,0	10 500,0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6 880,8	7 300,0	7 300,0		6 200,0	6 200,0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 203,0	1 000,0	1 000,0		1 000,0	1 000,0	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	865,1	500,0	500,0		900,0	900,0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების	113,4	200,0	200,0		200,0	200,0	



მიწაზე							
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2 297,0	2 000,0	2 000,0		2 200,0	2 200,0	

მუხლი 5. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **12 144,8** ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რეაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
გრანტები	17 126,4	11 771,6	12 144,8
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	16 544,8	11 771,6	11 844,8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	380,000	340,4	323,4
მოსწავლეების ტრანსპორტირება	125,9438	143,4	109,6
კაპიტალური ტრანსფერი	6 960,1	10 663,8	10 077,8
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	2 740,0	444,0	1 334,0

მუხლი 6. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **17 800,0** ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	16 397,60	18 601,291	17 800,0
შემოსავლები საკუთრებიდან	12 074,9	12 637,8	12 500,0
პროცენტები	944,3	1 375,1	1 000,0
რენტა	11 130,6	11 262,73	11 500,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1 980,56	3 840,89	3 675,00
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1 945,4	3 802,4	3 650,0
სანებართვო მოსაკრებელი	381,118	212,336	150,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1 000,0	2 988,4	3 000,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	562,7	601,7	500,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	35,2	38,5	25,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	2 058,4	1 912,68	1 500,0



ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	283,8	209,888	125,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	283,8	209,888	125,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 39 160,9 ლარით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი			2024 წლის ფაქტი			2025 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	29 478,8	27 568,2	1 910,6	33 036,0	32 636,4	399,5	39 160,9	38 137,4	1 023,4
შრომის ანაზღაურება	3 204,8	3 204,8	-	3 594,6	3 594,6	-	4 149,8	4 149,8	-
საქონელი და მომსახურება	4 522,5	4 396,6	125,9	4 558,7	4 393,3	165,4	5 379,6	5 270,0	109,6
პროცენტები	20,3	20,3	-	10,9	10,9	-	6,4	6,4	-
სუბსიდიები	14 546,6	14 546,6	-	18 069,5	18 069,5	-	20 624,0	20 624,0	-
გრანტები	164,6	164,6	-	233,2	233,2	-	123,2	123,2	-
სოციალური უზრუნველყოფა	3 483,1	3 483,1	-	4 576,0	4 576,0	-	5 537,2	5 537,2	-
სხვა ხარჯები	3 536,9	1 752,3	1 784,7	1 992,9	1 758,8	234,1	3 340,6	2 426,8	913,8

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 23 238,0 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 23 438,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 200.0 ათასი ლარით.

	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	269,9	128,2	3 108,9
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	269,9	128,2	3 108,9
01 02 07	საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა	-	-	-
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	14 526,5	16 737,3	17 097,2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5 136,5	7 170,2	8 048,2
02 02	წყლის სისტემების განვითარება	130,8	594,5	315,7
02 03	გარე განათება	139,2	263,0	359,8



02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1 549,4	1 988,8	770,1
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	982,3	2 729,4	3 110,7
02 06	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	1 029,6	785,7	692,4
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	338,7	900,0	1 014,0
02 08	განახლებული რეგიონების დაფინანსების პროგრამა (მგფ)	1 458,8	-	-
02 09	სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოფხვრის ღონისძიებები	2 515,5	865,7	1 341,9
02 10	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1 144,0	1 223,4	1 322,7
02 11	სამოქალაქო ბიუჯეტი	101,7	216,8	121,8
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	40,4	192,8	105,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	40,4	192,8	105,0
03 02	ნაგავშიდი სპეც მანქანების და სანაგვე ურნების შეძენა	-	-	-
04 00	განათლება	320,4	45,3	14,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	227,9	45,3	14,0
04 02	სკოლების ფინანსური დახმარება	92,5	-	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	646,8	3 166,2	3 084,7
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	387,3	2 627,1	1 701,1
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	259,5	539,1	1 383,6
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,1	60,3	28,2
06 01	ჯანმრთელობის დაცვა		60,3	28,2
06 02	სოციალური დაცვა	3,1	-	-
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	15 807,1	20 330,1	23 438,0

	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
	არაფინანსური აქტივების კლება	1 474,0	815,7	200,0
	ძირითადი აქტივები	814,3	107,0	100,0
	არაწარმოებული აქტივები	659,7	708,7	100,0
	მიწა	659,7	708,7	100,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	7 459,9	8 605,0	13 067,3
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 873,4	5 393,2	10 117,5
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 867,7	5 387,9	9 805,8
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	5,7	5,3	311,7
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	2 510,6	3 145,3	2 887,8
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	8 808,3	11 183,9	11 880,8
7.4 5	ტრანსპორტი	7 450,0	9 493,6	10 282,5
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7 450,0	9 493,6	10 282,5
7.4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1 358,4	1 690,3	1 598,3
7.5	გარემოს დაცვა	4 841,6	5 694,1	6 599,9
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2 077,0	2 583,3	3 052,0
7.5 2	ჩამდინარე წყლების მართვა	86,7	198,5	172,9
7.5 4	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	2 677,9	2 912,2	3 375,0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	11 134,6	9 932,8	10 524,2
7.6 1	ბინათმშენებლობა	2 582,1	1 070,8	1 194,9
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-	-	-
7.6 3	წყალმომარაგება	753,1	1 314,7	1 188,7
7.6 4	გარე განათება	1 529,7	1 420,5	1 688,2
7.6 5	გამოყენებითი კვლევები საბინაო კომუნალურ მეურნეობაში			
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	6 269,7	6 126,7	6 452,4
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	132,0	242,4	285,4
7.7 1	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები			
7.7 2	ამბულატორიული მომსახურება	14,3	15,0	15,0
7.7 3	საავადმყოფოების მომსახურება			
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	117,8	217,9	270,4
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	4 937,5	8 652,7	9 328,2
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 726,3	4 990,2	5 210,2



7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	2 810,3	3 346,2	3 817,9
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	284,0	291,0	285,0
7.8.6	სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურება კულტურის სფეროში	117,0	25,3	15,0
7.9	განათლება	3 904,0	3 935,9	4 758,1
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	3 382,2	3 584,5	4 249,5
7.9.2	ზოგადი განათლება	421,8	245,1	306,6
7.9.2.2	საბაზო ზოგადი განათლება	100,0	106,3	202,0
7.10	სოციალური დაცვა	3 999,0	5 174,8	6 210,7
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	2 334,2	3 200,9	3 764,5
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	431,2	436,0	474,4
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა			
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	551,1	617,3	946,2
7.10.5	უმუშევართა სოციალური დაცვა	-	-	-
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	26,4	40,5	50,0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	656,1	880,2	975,7
	სულ	45 341,5	53 421,6	62 654,4

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს **-6 954,1** ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო **16 283,9** ათასი ლარით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	20 504,0	14 812,8	16 283,9
მთლიანი სალდო	6 171,0	- 4 701,6	- 6 954,1

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

- განისაზღვროს ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება **-7 009,7** ათასი ლარის ოდენობით.
- განისაზღვროს ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება **7 009,7** ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის პროგნოზი
------------	-----------------	-----------------	--------------------



ფინანსური აქტივების ცვლილება	6 115,4	- 1 266,5	- 7 009,7
ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	- 6 115,4	1 266,5	7 009,7
ვალუტა და დეპოზიტი	- 6 115,4	1 266,5	7 009,7

მუხლი 12. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 55,6 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ბორჯომის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბორჯომის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 83.4 ათას ლარს, ხოლო 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 27.8 ათასი ლარი.

თავი II. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2025-2028 წლებისათვის, პროგრამები / ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2025 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 25 952,8 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	25 952,8	17 352,6	18 256,0	18 201,2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	9 664,2	5 050,0	6 150,0	7 050,0
02 01 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია	6 182,3	2 500,0	3 000,0	3 500,0
02 01 02	ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება	1 528,9	1 400,0	1 500,0	1 800,0
	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდების				



02 01 03	რეაბილიტაცია	-	-	-	-
02 01 04	გარე-ვიდეო სამეთვალყურეო, სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების და სიჩქარის რადარების შეძენა-დამონტაჟება	720,0	150,0	150,0	150,0
02 01 05	საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობა	1 233,1	1 000,0	1 500,0	1 600,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 188,7	1 873,0	2 373,0	1 873,0
02 02 01	წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	315,7	1 000,0	1 500,0	1 000,0
02 02 02	ბორჯომის სოფლის წყალი	873,0	873,0	873,0	873,0
02 03	გარე განათება	1 688,2	1 690,4	1 975,0	1 713,0
02 03 01	გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 225,2	1 200,0	1 450,0	1 150,0
02 03 02	ბორჯომის გარე-განათება	463,0	490,4	525,0	563,0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	2 478,5	3 400,0	2 481,0	2 800,0
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	1 194,9	1 500,0	481,0	1 000,0
02 04 02	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამა	645,6	1 500,0	1 500,0	1 500,0
02 04 03	საყრდენი კედლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და გაბიონების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	637,9	400,0	500,0	300,0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	3 701,6	1 289,2	1 302,1	965,2
02 05 01	სანიაღვრე და სარწყავი არხების გაწმენდა, კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია	172,9	200,0	200,0	150,0
02 05 02	ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობა	2 859,2	500,0	500,0	200,0
02 05 03	ბორჯომის გამწვანება 2012	515,8	421,1	421,1	421,1
02 05 05	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	153,8	168,1	181,0	194,1
02 06	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	3 223,5	2 750,0	2 775,0	2 800,0
02 06 01	მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება	2 605,2	2 750,0	2 775,0	2 800,0
02 06 02	სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	618,3	-	-	-
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	1 221,8	1 300,0	1 200,0	1 000,0
02 08	განახლებული რეგიონების დაფინანსება (მგფ)	-	-	-	-
02 09	სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებები	1 341,9	-	-	-
02 10	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1 322,7	-	-	-
02 11	სამოქალაქო ბიუჯეტი	121,8	-	-	-



პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01		9 664,2
პროგრამის აღწერა	მიუხედავად იმისა, რომ უკანსკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების, მოწესრიგებული ერთიანი იერსახის შექმნის მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. პროგრამა ითვალისწინებს : მუნიციპალიტეტში არსებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების , ხიდების, ქუჩებისა და ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაციას , კაპიტალური მშენებლობას, საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას.		
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება. შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა.		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			6 182,3
02 01 01			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, ქვეპროგრამის მიზანია ეტაპოვრივად განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია არსებული სტანდარტების შესაბამისად. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება :		
	• ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ცემში შიდა ჩიხების რეაბილიტაცია , • სოფ.მოლითიდან ტაბაწყურამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია II მონაკვეთი, • ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ყვიზისში ბერის საყდრების მონასტერთან მისასვლელი გზის (IIმონაკვეთი) რეაბილიტაცია; • დაბა წაღვერში და სოფ.ტიმოთესუბანში გზის რეაბილიტაცია , • ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ არსებული ჩიხების რეაბილიტაცია, • ქ. ბორჯომში რაზმადის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია, • ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ციხისჯვარში ბერი გაბრიელ სალოსის ტაძრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, • ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში ნემცის მისასვლელი გზის (მონაკვეთის)რეაბილიტაცია, • დაბა ახალდაბაში ბორჯომის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ 64.21.01.028) არსებული სტელას რეაბილიტაცია. • ბორჯომში, ვაშლოვანის #4-ის მიმდებარედ მოსაცდელის მოწყობა. • და სხვა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურა. რეაბილიტირებული იქნება ქალაქის და სოფლის ცენტრალური და შიდა საუბნო გზა.		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
02 01 02	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	1 528.8
პროგრამის აღწერა			



სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში არსებული ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაციას, მოსაცდელების მოწყობას, ასევე განხორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცენტრალურ ქუჩებზე არსებული ღობეების რეაბილიტაცია ერთიანი მოწესრიგებული იერსახის შექმნის მიზნით. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება. • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცენტრალური გზის მიმდებარედ არსებული ღობეების რეაბილიტაცია; • ქ.ბორჯომში რობაქიძის ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია; • ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაბა ახალდაბაში ბორჯომის ქუჩაზე ცენტრალური გზის გამყოლი ღობეების რეაბილიტაცია • და სხვა.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული ქუჩები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე-ვიდეო სამეთვალყურეო სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების და სიჩქარის რადარების შეძენა-დამონტაჟება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
02 01 04			720.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში კამერების მოვლა-შენახვის მომსახურებას, არსებული გარე ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მოვლა შენახვას, 2022 წელს შეძენილი კამერების თანხის გადახდას და დამატებით გარე-ვიდეო სამეთვალყურეო კამარების თანხის გადახდა.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გარემოს შექმნა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			1 233,1
02 01 05			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტბორჯომის ტერიტორიაზე არსებული მოასფალტებული საუბნო გზების მოხრეშვას, ქალაქად დაზიანებული ასფალტოსაფარის ორმოული შეკეთებას,ასევე ზამთრის მოვლა-შენახვის სამუშაოებს.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქად მოსახლეობის კომფორტული გადაადგილება,	

კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემის განვითარება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
02 02			1 188.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	



პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია წლის ნებისმიერ პერიოდში მოსახლეობის 8 საათიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: 1. წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა 2. ა(ა)იპ ბორჯომის სოფლის წყალი რომლის მიზანია სოფლად დაზიანებული წყლის ქსელების დროული შეკეთება-ექსპლუატაცია.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემების უწყვეტი რეჟიმი და წარმოქმნილი გაუმართაობების დროულად აღმოფხვრა.მოსახლეობას მიეწოდება 24 საათი სახელმწიფო სტანდერტების შესაბამისი წყალი.გამართული და მოწესრიგებულია საკანალიზაციო ქსელი.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			315.7
02 02 01			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასმელი წყლისა და ქსელის მოწყობა/რეაბილიტაცია,ქსელის გაფართოვება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: • ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ტბაზე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, • და სხვა	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		რეაბილიტირდება წყლის სათავე ნაგებობები და წყალმომარაგების ქსელები, გაუმჯობესდება წყალმომარაგება მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობისათვის.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ბორჯომის სოფლის წყალი	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			873,0
02 02 02			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ - „ბორჯომის სოფლის წყალი“	
ქვეპროგრამის აღწერა		ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში წყალსადენის ექსპლუატაცია, ხორციელდება სათავე-ნაგებობის და ქსელის რეაბილიტაცია, მოვლა-პატრონობა და გაწმენდითი სამუშაოები. ჩვენი სამსახურის მიზანია მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობისათვის მუდმივი და ხარისხიანი წყლის მიწოდება.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად .ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება სახელმწიფო სტანდერტების შესაბამისი წყალი.	

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			1 688,2
02 03			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	



პროგრამის აღწერა	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდომარეობით გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 900.0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან, ესენია: 1. გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 2. ბორჯომის გარე განათება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
02 03 01			1 225.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დასახლებული პუნქტების განათების სამუშაოები და ელ. ენერგიის ქსელში ჩართვა და დასახლებული პუნქტების გარე განათების ელ. ენერგიის მომსახურების ღირებულება, ქ. ბორჯომში რუსთაველის და აღმაშენებლის ქუჩებზე ცენტრალურ გზაზე გარე განათების ქსელის მოწყობა და სხვა	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.	
კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ბორჯომის გარე განათება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
02 03 02			463,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ - ბორჯომის გარე განათება	
ქვეპროგრამის აღწერა		დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე • არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. • შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, გვირაბების, სკვერების განათება და მომსახურება; • სადღესასწაულო დეკორატიული გარე განათების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამა მოიცავს აღნიშნულ სფეროში დასაქმებული ადამიანების შრომის ანაზღაურებას.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის ფუნქციონირება გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა დროულად.	

კოდი	პროგრამის დასახელება	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
02 04			2 478,5
პროგრამის			



განმახორციელებელი სამსახური	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია
პროგრამის აღწერა	ქალაქის იერსახის შეცვლა, მოწესრიგებული და უსაფრთხო ინფრასტრუქტურა, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია , ქ.ბორჯომში ცენტრალურ ქუჩაზე არსებული შენობების ფასედების რეაბილიტაცია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პროგრამის ფარგლებში სხვაასხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია , საყრდენი კედლებისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება . პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები: • საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია და ცენტრალურ ქუჩებზე ფასადების რეაბილიტაცია. • ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამა. • საყრდენი კედლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და გაბიონების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის იერსახის გაუმჯობესება.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია და ცენტრალურ ქუჩებზე ფასადების რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			1 194.9
02 04 01			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობების რეაბილიტაცია, ასევე ცენტრალურ ქუჩაზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია, ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება: • ქ.ბორჯომში თორის ქ#6-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია; • ქ.ბორჯომში ავტოსადგურის სველი წერტილის მოწყობა; • დაბა ბაკურიანში გოდერძი ჩოხელის ქ.N86-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია; • ნინოშვილის ქ#1-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია • და სხვა.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		რეაბილიტირებული იქნება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული რიტუალების სახლი.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			645.6
02 04 02			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული საცხოვრებელი გარემოს შექმნის მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდებ ამხანაგობის საერთო ქონების , სახურავების, ფასადების , დასარბაზოების, ლიფტების და სხვა სამუშაოები.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		რეაბილიტირდება მრავალბინიანი კორპუსები.	



კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საყრდენი კედლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და გაბიონების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			637.9
02 04 03			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საყრდენი კედლების მოწყობა და ნაპირსამაგრი სამუშაოები.კერძოდ განხორციელდება : • ქ.ბორჯომში გურამიშვილის ქ.# 18-ში არსებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია • ქ.ბორჯომში რობაქიძის ქუჩაზე მდინარე მტკვრის ნაპირსამაგრი კედლის რეაბილიტაცია • ბორჯომის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რკ/ზეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები • ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვებისში ე.წ. „კვახიანი ღელეზე“ ნაპირდამცავი კედლის მოწყობა • და სხვა	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		უსაფრთხო გარემოს შექმნა	

კოდი	პროგრამის დასახელება	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			3 701.6
02 05			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა		პროგრამით ფინანსდება სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია,გამწვანება, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, მოვლა/პატრონობა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		შეიქმნება მოსახლეობისთვის მოწესრიგებული გარემო.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სანიაღვრე და სარწყავი არხების გაწმენდა, კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			172.9
02 05 01			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდა, კეთილმოწყობა , რეაბილიტაცია და არსებული სანიაღვრე სისტემების მოვლა-პატრონობა.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მოწესრიგებული სანიაღვრე სისტემები	



კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			2 859.2
02 05 02			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორებისათვის დამატებით რეკრიაციული ზონების შექმნა კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით. პროექტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდება გამწვანების სამუშაოები კერძოდ • დაბა წალვერში პარკის რეაბილიტაცია; • დაბა ახალდაბაში ბორჯომის ქუჩის მიმდებარედ სკვერისა და სპორტული მოედანის მოწყობა; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული სკვერების აღდგენა; • ქ.ბორჯომში მუსიკალური სკოლის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია; • ქ.ბორჯომში გურამიშვილზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია; • ბორჯომში გურამიშვილზე გადმოსახედის მოწყობა; • სოფ.ცემში გადმოსახედის მოწყობა; • გუჯარეთის გზაზე ფანჩატურის მოწყობა; • ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბაზე (ს/კ: 64.25.02.252) სკვერის მოწყობის სამუშაოები • და სხვა.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		რეაბილიტირებული და მოწესრიგებული სკვერები და დასასვენებელი სივრცეები	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			515.8
02 05 03			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ "ბორჯომი გამწვანება 2012"	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ ბორჯომის ტერიტორიის გამწვანებითი ღონისძიებები. • ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის გარე უბნებში არსებული სკვერების, ბაღ-პარკების, გაზონების და სხვა გამწვანებული ზოლების მოვლა-პატრონობის სამუშაოების განხორციელება. • სხვადასხვა სახეობის ყვავილების ჩითილების და დეკორატიული მცენარეების დარგვა. • შხამქიმიკატებით შეწამვლა მარადმწვანე მრავალწლიანი ბუჩქების (წყავის, ლუგუსტრუმის,ზხების) მავნებლების საწინააღმდეგოდ. • საბარდიურე ბუჩქების და ცალკე მდგომი ბუჩქების ფორმირება სამი მხრიდან. • სანაპირო პარკის, სკვერების და გამწვანებული ზოლების გათიბვა(ბორჯომი,ლიკანი,ახალი უბანი,ახალშენი). • ეკაბარდიანი ბუჩქების დაჭრა,დაჩეხვა(ბორჯომი,ლიკანი, ახალი უბანი,ახალშენი). • ადმინისტრაციული ხარჯები.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის გარე უბნებში არსებული მოწესრიგებული და გამწვანებული ბაღები,პარკები, სკვერები და გაზონები.	

კოდი		2025 წლის დაფინანსება
------	--	-----------------------



	ქვეპროგრამის დასახელება	სასაფლაოს მოვლა პატრონობა	ათას ლარში
02 05 05			153.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „სასაფლაო“	
ქვეპროგრამის აღწერა		ა(ა)იპ სასაფლაოს დაქვემდებარებაში მყოფი ბორჯომის ცენტრალური და არდაგნის დასახლებაში არსებული სასაფლაოების მოვლა პატრონობა	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		დასუფთავებული და მოვლილი სასაფლაოების ტერიტორია	

კოდი	პროგრამის დასახელება	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			3 223.5
02 06			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა		პროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოპარკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება და ავტობუსების შეძენა.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		უზრუნველყოფილია მგზავრთა კომფორტული გადაადგილება.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			2 605.2
02 06 01			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტი	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება შეუფერხებლად, შიდასაქალაქო, საგარეუბნო და სარაიონთაშორისო მარშრუტებზე; ტარიფების შენარჩუნება; მოსწავლეთა გადაყვანა დროულად და უსაფრთხოდ სასწავლო დაწესებულებებში; ტექნიკურად გამართული ტრანსპორტის უზრუნველყოფა; სპეც-ტექნიკით (ტრაქტორები) ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოების შესრულება. • მგზავრთა ტრანსპორტირება, სპეც ტექნიკით სხვადასხვა სამუშაოების შესრულება. • მოსწავლეთა ტრანსპორტირება. • ტაბაწყურის მოსახლეობის ტრანსპორტირება.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		უზრუნველყოფილია როგორც მგზავრთა გადაადგილება, ასევე მოსწავლეთა ტრანსპორტირება დროულად და უსაფრთხოდ სასწავლო დაწესებულებებში. ჩატარებულია ყველა ავტობუსზე ტექდათვალიერება. გაზრდილია როგორც ავტობუსების ასევე სვლა-გეზების რაოდენობა, შესაბამისად გაზრდილია შემოსავალი.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში



02 06 02			618,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შეძენილი ავტობუსების დავალიანების დაფარვა.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		განახლებული ავტოპარკი	

კოდი	პროგრამის დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			1 221.8
02 07			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
პროგრამის აღწერა		პროგრამით განხორციელდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი 50000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების დაფინანსება და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ხარისხიანად შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები	

კოდი	პროგრამის დასახელება	სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			1 341.9
02 09			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
პროგრამის აღწერა		სტიქიური მოვლენებისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზიანებული სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.საკირეში სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრი კედლისა და ხიდის რეაბილიტაცია(საგარანტიო თანხა)	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა	

კოდი	პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			1322,7
02 10			



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებისთვის პრიორიტეტული სოციალ-ეკონომიკური პროექტები. აღნიშნულ სამუშაოებში ჩართული იქნება სოფლის მოსახლეობა. პროგრამით გათვალისწინებული თანხა წარიმართება სოფლის პირველი რიგის სოციალ-ეკონომიკური საჭიროებათა დასაფინანსებლად. ასევე განხორციელდება „ქეა კავკასია“ ს პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსება.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია სოფლებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მოსახლეობისათვის შექმნილია გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები.	
კოდი	პროგრამის დასახელება	სამოქალაქო ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			121.8
02 011			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის მიერ შერჩეული ინფრასტრუქტურული პროექტები,	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია მოქალაქეების ჩართულობა ბიუჯეტირების პროცესში,განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები	

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა (03 00)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია დასუფთავება და გარემოს დაცვა, რაც თავის თავში მოიცავს მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას. პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 052.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3 052,0	3 390,0	3 605,0	3 843,5
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	3 052,0	3 390,0	3 605,0	3 843,5
03 02	ნაგავშიდი სპეც,მანქანის და სანაგვე ურნების შესყიდვა	-	-	-	-

კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			3 052.0
03 01			



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა
პროგრამის აღწერა	ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, მოედნების, სკვერების, ტროტუარების სავალი ნაწილების დაგვა-დასუფთავება და საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება - გაწმენდა. ორგანიზაციებიდან, მოსახლეობიდან, დაწესებულებებიდან, მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ნარჩენების გატანა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვა და კირით შეწამვლა. ფანტანების და სკვერების მოვლა-პატრონობა. დაზიანებული ნაგვის ურნების შეკეთება. ქ. ბორჯომში მრავალსართულიან კორპუსებში სანაგვე ბუნკერის, ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექციის და დეზინფექციის მომსახურება. ყველა სხვა საქმიანობა, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული. • დაგვა-დასუფთავება • ნარჩენების გატანა • გადაბეღვა და ხეების კირით შეღებვა • ადმინისტრირება და მართვა • უმეტესწილად დარჩენილი ძალების პოპულაციის მართვა და თავშესაფარში გადაყვანა • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქ. ბორჯომის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა. იქნება ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო.

მუხლი 15. განათლება (04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება. განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის **4 758,1** ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

04 00	განათლება	4 758,1	4 719,6	5 117,6	5 577,6
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4 249,5	4 529,6	4 927,6	5 387,6
04 01 01	ბაკურიანის სკოლამდელი არზრდის დაწესებულება	-	-	-	-
04 01 02	ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“	4 249,5	4 529,6	4 927,6	5 387,6
04 01 03	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-	-	-	-
04 02	საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება	306,6	-	-	-
04 03	საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	202,0	190,0	190,0	190,0

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
04 01			4 249,5
პროგრამის			

განმახორციელებელი სამსახური	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია
პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ბავა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები“; ბავა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ბავა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბავა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
04 01 02			4 249.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		'ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“	
ქვეპროგრამის აღწერა		ბორჯომის მუნიციპალიტეტში სულ 2-დან 6 წლამდე 738 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული. ტერიტორიაზე განთავსებულ 12 საბავშვო ბაღში მომსახურებას იღებს 600 ბავშვი, აქედან 350 ბიჭია და 250 გოგო. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება "ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი"-ის მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ბავა-ბაღებში რიცხული აღსაზრდელების სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		შესაფერისი უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები.	

კოდი	პროგრამის დასახელება	საჯარო სკოლების დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
04 02			306,6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბა ბაკურიანში საჯარო სკოლის დემონტაჟთან დაკავშირებით სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით ალტერნატიული ფართით უზრუნველყოფა (ქირა).	



პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეთა კომფორტულ გარემოში ყოფნა და კმაყოფილი მოსახლეობა.
--	--

კოდი	პროგრამის დასახელება	საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
04 03			202,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ "ჩვენი ზორჯომისათვის"	
პროგრამის აღწერა		პროგრამა დაეხმარება რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობას თვითგანვითარებასა და პროფესიულ წინსვლაში. რომლის მეშვეობით ახალგაზრდებს გამოუმუშავდება სხვადასხვა უნარჩვევები როგორცაა გუნდური მუშაობა, პრეზენტაციურობა, კომუნიკაბელურობა და სხვა.ა(ა)იპ "ჩვენი ზორჯომისათვის"-თან არსებულ ბავშვთა და ახალგაზრდობის განათლებისა და განვითარების ცენტრის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: 1. ინტერესების მიხედვით კლუბური მუშაობის გაფართოება, რაც არაფორმალური განათლების ყველაზე ეფექტური და საჭირო მიმართულება; 2. ღონისძიებების ფარგლებში შემცნებით-შემოქმედებითი ბანაკების, ტრენინგების, ვორკშოპების, შემოქმედებითი კონფერენციების, ოლიმპიადების, ვიქტორინების, სპორტული ღონისძიებების, კონკურსების და ლექციების ჩატარება. 2025-2028 წლებში გათვალისწინებული გვაქვს საერთაშორისო ბანაკებსა და გაცვლით პროგრამებში მოსწავლეთა ჩართვა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის განხორციელების შედეგად მივიღებთ განათლებულ, სწავლასა და წინსვლაზე ორიენტირებულ ახალგაზრდა თაობას, რომლებიც აქტიურად იქნებიან ჩართული რაიონის კულტურულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.	

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ .კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **9 328,2** ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	9 328,2	7 947,8	7 960,9	8 133,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3 870,8	2 730,9	2 764,9	2 907,3



05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2 022,4	2 037,4	2 071,4	2 109,0
05 01 01 01	ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა	1 635,7	1 620,1	1 621,1	1 622,0
05 01 01 02	ა(ა)იპ ბორჯომი ფეხბურთი 2013	386,6	417,3	450,3	487,0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	153,4	193,5	193,5	198,3
05 01 03	ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა	1 695,0	500,0	500,0	600,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	5 442,4	5 131,9	5 111,0	5 140,7
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2 932,9	2 636,9	2 806,0	3 005,7
05 02 01 01	მუსიკალური სკოლების დაფინანსება	553,2	400,0	400,0	400,0
05 02 01 02	საბიბლიოთეკო გაერთიანება	674,0	740,5	790,7	859,8
05 02 01 03	ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	1 490,7	1 496,5	1 615,3	1 745,9
05 02 01 05	ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკი	215,0	-	-	-
05 02 02	ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებები	500,0	925,0	925,0	1 045,0
05 02 03	ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კლუბების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები	1 339,5	700,0	500,0	200,0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	285,0	285,0	285,0	285,0
05 02 06	ახალგაზრდობის ხელშეწყობა(დახმარება)	385,1	585,0	595,0	605,0
05 03	საინფორმაციო მომსახურება	15,0	85,0	85,0	85,0

კოდი	პროგრამის დასახელება	სპორტის სფეროს განვითარება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			3 870.8
05 01			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა		საბაზისო მონაცემების გათვალისწინებით, სპორტით ძირითადად 6-18 წლამდე მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან დაკავებული, მდებდრობითი სქესის პროცენტული წილი თითქმის 50%-ს შეადგენს, ხოლო შშმ პირებისთვის არახელსაყრელი ინფრასტრუქტურის გამო, დაინტერესების მიუხედავად ისინი ვერ ახერხებენ სპორტით აქტიურად დაკავდნენ. აღნიშნული მდგომარეობა ჩვენი აზრით შეიძლება ერთის მხრივ გამოწვეული იყოს, როგორც იმ სპორტის სახეობების სიმრავლით, რომლითაც ძირითადად მამრობითი სქესის წარმომადგენლები ინტერესდებიან და მეორეს მხრივ, მდებდრობითი სქესის მწვრთნელების არ არსებობით. ამასთან, ასაკობრივ ნიშნულსაც თუ გავითვალისწინებთ, აღმოვაჩენთ, რომ ძირითადად მოზარდი თაობაა მუნიციპალიტეტში სპორტით დაკავებული, ჩვენი პროგრამა კი მოიცავს სპორტული ცხოვრების ღონის ამაღლებას ნებისმიერი ასაკის და ნებისმიერი სქესის წარმომადგენელისთვის. არსებული მდგომარეობის შეცვლის მიზნით, ვფიქრობთ, ვაწარმოთ როგორც სათანადო კამპანია, ასევე ფინანსური და ადამიანური რესურსი მივმართოთ სიახლეების დანერგვისა და არსებული მდგომარეობის გამოსწორებისკენ. ამიტომ, პროგრამა ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს სადაც ჩართული იქნება ყველა ასაკისა და სქესის მოქალაქე. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება - პოპულარიზაცია, ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება	



	• ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა • ა(ა)იპ ბორჯომის ფეხბურთი 2013 • სპორტული ღონისძიებები • ატრაქციონებისა და სპორტული მოდნების მოწყობა.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტული ცხოვრების დონის ამაღლება და მოსახლეობის სპორტულ აქტივობებში ჩართულობის გაზრდა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			1 635.7
05 01 01 01			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლა	
ქვეპროგრამის აღწერა		აიპ ბორჯომის სასპორტო სკოლა წარმადგენს სპორტულ გამაჯანსაღებელ ცენტრს სადაც ფუნქციონირებს ზამთრის სახეობის სექციები (5) სახეობა ზაფხულის (15) სახეობა , ესენია: ფეხბურთი 520 ბავშვი აქედან 12 გოგო); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (85 ბავშვი); რაგბი (50 ბავშვი); კარატე (25 ბავშვი აქედან 5 გოგო); ჭადრაკი (30 ბავშვი აქედან 8); კალათბურთი (90 ბავშვი აქედან 15 გოგო);მძლეოსნობა(40 ბავშვი აქედან 15 გოგო);ძიუდო (45 ბავშვი აქედან 2 გოგო);კრივი (30 ბავშვი); კიკ-ბოსქინგი (20 ბავშვი);ტაიკვანდო (15 ბავშვი) ქართული ჭიდაობა (15 ბავშვი); მკლავჭიდი (25 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი(25 ბავშვი) და საერთო ფიზიკური მომზადება. ზამთრის სახეობა: სამთო სათხილამური (20 ბავშვი აქედან 13 გოგო);ყინულის ჰოკეი (30 ბავშვი); საციგაო (10 ბავშვი) ;ბიატლონი (10 ბავშვი) ; ტრამპლინიდან ხტომა (20 ბავშვი) სულ ბორჯომის სასპორტო სკოლის ბაზაზე სპორტულ სახეობებს ეუფლება 800 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სასპორტო სკოლაში დასაქმებულია ჯამში 59 ადამიანი, მათ შორის, 15 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 44 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - პერსპექტიული სპორტსმენების შერჩევა და მათი დაოსტატება; - რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარდგენა ქვეყნის მაშტაბით;	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ბორჯომის ფეხბურთი 2013	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
			386.6
05 01 01 02			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ ბორჯომი ფეხბურთი 2013	
ქვეპროგრამის აღწერა		ბავშვთა ფეხბურთის განვითარება, ბავშვთა მაქსიმალური ჩართულობა ფეხბურთში. • იმერეთის რეგიონალური ჩემპიონატი ფეხბურთში; სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ჩემპიონატი ფეხბურთში; „ქართლის ლიგა 2025“ ტურნირი ფეხბურთში • ადმინისტრაციული ხარჯი. • მწვრთნელების გადამზადება.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ფეხბურთის პოპულარიზაცია, პერსპექტიული ფეხბურთელების აღზრდა	



კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
			153,4
05 01 02			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - კულტურის, განათლების, სპორტის, მეგლთა დაცვის, ხალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილება	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისეთი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება როგორცაა: უზენებისა და დაწესებულებების ჩემპიონატი ფეხბურთსა, ფრენბურთსა და კალათბურთში. ასევე მოყვარულთა ფეხბურთი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაცია ახორციელებს. ქვეპროგრამა ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს და ახორციელებს მათ სტიპენდირებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ სექციებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ. სპორტული ფესტივალი სპორტი ბარიერების გარეშე და სხვა. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება, სარაგბო კლუბი ტაო და სხვა.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მოსახლეობის სპორტულ აქტივობებში ჩართულობის გაზრდა.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების სასპორტო შენობების მოწყობა-რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
05 01 03			1 695,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა მოიცავს სპორტული დანიშნულების ობიექტების (სპორტული დარბაზები, მოედნები, სტადიონების, გარე სავარჯიშო კომპლექსების) მშენებლობას, მოწყობას, რეაბილიტაციას, ექსპლოატაციასა და მოვლა-პატრონობას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება : • ქ.ბორჯომში ცენტრალური საფეხბურთო მოედანის რეაბილიტაცია; • სოფ.ტიმოთესუბანში სპორტული მოედანის მოწყობა; • სოფ.სადგერში სპორტული მოედანის მოწყობა; • პლატოზე არსებული სპორტული მოედნის მიმდებარედ სველი წერტილის მოწყობა. • და სხვა.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		რეაბილიტირებული და მოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურა	

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს განვითარება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
05 02			5 442,4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	
		ბორჯომის მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია; კულტურული ტრადიციების დაცვისა და განვითარების მიზნით პროგრამის ფარგლებში მოხდება ადგილობრივი კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა. კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია, შესაბამისად განხორციელებს სხვადასხვა მასშტაბისა და შინაარსის კულტურული ღონისძიებების, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების გამართვისათვის მხარდაჭერა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ჩართვა რეგიონულ და საერთაშორისო	



პროგრამის აღწერა	ინიციატივებში. სახელოვნებო განათლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია. კულტურულ - საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა.
	კულტურის სახლებში მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით მიზნობრივი წრეების, სტუდიების, ფოლკლორული ანსამბლების ჩამოყალიბება და განვითარების ხელშეწყობა ქვეყნის და მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ თვითშემოქმედებით ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობა. კრეატიული აზროვნების დანერგვა, მოსწავლეთა მომზადება და მონაწილეობა სხვადასხვა ჟანრის ფესტივალებსა და კონკურსებში. სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების და სხვა მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს. ბორჯომის მუნიციპალიტეტში საბიბლიოთეკო დოკუმენტებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბიბლიოთეკების არაფორმალური განათლების ცენტრებად ჩამოყალიბება; პროექტებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; ბიბლიოთეკებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ჩართულობის გაზრდა • მუსიკალური სკოლების დაფინანსება • საბიბლიოთეკო გაერთიანება • ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი • ეროვნული, სახალხო, სადღესასწაულო და საგანმანათლებლო ღონისძიებები • ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს დაწესებულებების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები • რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა • ახალგაზრდობის ხელშეწყობა(დახმარება)
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია კულტურის სფეროს სხვადასხვა სახეობებზე ხელმისაწვდომობა, რეაბილიტირებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული დაწესებულებები და პარკის ინფრასტრუქტურა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუსიკალური სკოლების დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
05 02 01 01			553,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ ბორჯომის ზ.ფალიაშვილის სახ.სამუსიკო სკოლა	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ფარგლებში განხორციელდება სამუსიკო სკოლის სუბსიდირება, სამუსიკო სკოლაში მოსწავლეთა კონტიგენტის მიღება, სასწავლო წლის ხარისხიანად წარმართვა. კრეატიული აზროვნების დანერგვა, მოსწავლეთა მომზადება და მონაწილეობა სხვადასხვა ჟანრის ფესტივალებსა და კონკურსებში. სამუსიკო სკოლაში განათლებას იღებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 350 ბავში (290 გოგონა, 60 ბიჭი) სკოლაში დასაქმებულია 43 თანამშრომელი, მათ შორის 30 პედაგოგი.მუსიკის შესახებ კომპლექსური ცოდნის მიწოდება პრაქტიკული გზით. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მოსწავლეთა კლასიკური და თანამედროვე მიმართულების სამუსიკო განათლების მიღება, ბავშვების მომზადება სამომავლო შემოქმედებითი საქმიანობისათვის.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საბიბლიოთეკო გაერთიანება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
05 02 01 02			674.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება"	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ფარგლებში განხორციელდება ბიბლიოთეკის სუბსიდირება, ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების ქსელი მოიცავს 23 ბიბლიოთეკას,რომლებიც მომსახურებას უწევენ , როგორც ბორჯომელ მკითხველს, ასევე ქალაქის სტუმრებს. წიგნადი ფონდი შეადგენს 246 000 ეგზემპლარს.ქსელში დასაქმებულია 58 თანამშრომელი.საბიბლიოთეკო გაერთიანების მიზანია ბიბლიოთეკებში ინოვაციური მიდგომებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;ელექტრონული კატალოგის შექმნა საბიბლიოთეკო	



	დოკუმენტებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბიბლიოთეკების არაფორმალური განათლების ცენტრებად ჩამოყალიბების მიზნით კლუბური მუშაობის წარმართვა; შემეცნებითი- შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებების გამართვა.წიგნადი ფონდის განახლება; საბიბლიოთეკო გაერთიანების ფუნქციონირება. ადგილობრივი გაზეთის ბეჭდვითი მომსახურება.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მკითხველისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; ფონდებითა და მომსახურებით კმაყოფილი მკითხველი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			1 490,7
05 02 01 03			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ "ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ფარგლებში განხორციელდება კულტურის და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირება, კულტურის ცენტრის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლე-ახალგაზრდობისა და საზოგადოების სხვადასხვა სოც. ჯგუფების კულტურულ შემოქმედებითი მოღვაწეობის ხელშეწყობა და მათი დასვენების უზრუნველყოფა.მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით მიზნობრივი წრეების, სტუდიების, ფოლკლორული ანსამბლების ჩამოყალიბება და განვითარების ხელშეწყობა ქვეყნის და მუნიციპალიტეტის მაშტაბით გამართულ თვითშემოქმედებით ფესტივალებში, კონკურსებში და გამოვენებში მონაწილეობა. სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების, ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების მოყვარულთა გაერთიანებების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, შესაბამისად , ამჟამად კ/ცენტრსა და დაქვემდებარებულ ერთულებში დასაქმებულია 106 თანამშრომელი, მ/შ 61 ქალი ხოლო ბენეფიციართა საერთო რაოდენობა შეადგენს 600 ზავშვს მ/შ კ/ცენტრში 350.. კ/ცენტრში ფუნქციონირებს 2 ქორეოგრაფიული სტუდია, 1 თანამედროვე ცეკვების სტუდია, ვოკალური სტუდიის 1 ჯგუფი სახალხო ანსამბლი და 2 გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი. ცენტრთან ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, ცენტრის დაქვემდებარებაში იმყოფება 10 სასოფლო კლუბი, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და წაღვერის კულტურის სახლები. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს შემდეგი შემსწავლელი წრეები: ხეზე კვეთის წრე, ტიხრულ მინაქარზე მუშაობის წრე, გობელენზე ქსოვის და ხელნაკეთი თოჯინების შემსწავლელი წრეები, ფერწერისა და გრაფიკის შემსწავლელი წრე, საესტრადო სიმღერების შემსწავლელი სტუდია, მხატვრული კითხვის შემსწავლელი წრე. ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრე. .1 სამეჯლისო ცეკვების წრე. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბენეფიციართა რაოდენობაა 120 ზავშვი. წაღვერის კულტურის სახლში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული ანსამბლი, საესტრადო და ვოკალური ჯგუფები, ხალხური საკრავების შემსწავლელი ჯგუფი და ფოლკლორული ანსამბლი და საბავშვო თეატრალური წრე. წაღვერის კ/სახლის ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 100 ზავშვს. სასოფლო კლუბებში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული წრეები. სასოფლო კლუბების ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 30 მოსწავლეს.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ქვეპროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა სხვადასხვა ჯგუფების კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის განვითარებას და კულტურული პროექტების განხორციელებას , რაც განაპირობებს კულტურის ცენტრის საქმიანობის პოპულარიზაციასაც. ბორჯომი, როგორც საკურორტო ქალაქი, წარმოიჩინდება კიდევ უფრო საინტერესო და შემოქმედებითად დატვირთული კურორტის სახით.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკი	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			215.0
05 02 01 05			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ "ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკი	
ქვეპროგრამის აღწერა		მაღალხარისხობრივად მოემსახუროს, როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ასევე ჩამოსულ სტუმრებს, ამჟამად დასაქმებულია 90 თანამშრომელი, მ/შორის 26 ქალი. განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, იგეგმება ორმოცდაათი სკამის ხე-მასალის განახლება, ზაფხულის სეზონისთვის მომზადება, შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა, სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა, პარკში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. სარეკლამო და საინფორმაციო ბეჭდური მასალების შექმნა და გავრცელება. ვიზიტორთა უსაფრთხოება მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.	



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დასასვენებელი და გასართობი სივრცე
---	---

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ეროვნული, სახალხო, სადღესასწაულო და საგანმანათლებლო ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			500
05 02 02			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილება	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვე-პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის მასშტაბით კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება, გამრავალფეროვნება, მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა; ბორჯომის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვა, ტურისტების ნაკადის ზრდის ხელშეწყობა. აღნიშნული მისაღწევად ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი, რეგიონალური, საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბების სახალხო, გასართობი, სადღესასწაულო და შემეცნებითი ღონისძიებებისა, ტრენინგებისა და პროექტების უზრუნველყოფას, ზაფხულის ტურისტული სეზონის გამრავალფეროვნებას და მთელი წლის მანძილზე, ტურისტულად არააქტიურ სეზონებზე, ღონისძიებების მოწყობას. მიზნად ისახავს ტურისტებისთვის და ბორჯომელებისათვის სასიამოვნო, შემეცნებითი და/ან გასართობი გარემოს შექმნას, კულტურულ და ტურისტულ განვითარებას. ღონისძიებები გათვლილია ბორჯომში მცხოვრებ ყველა ასაკის და გემოვნების ადამიანებზე, ამიტომ გათვალისწინებული სხვადასხვა ჟანრის (კლასიკური მუსიკის, ფოლკლორის, საესტრადო, პოპულარული (მაგ, კინო-მუსიკა და სხვ.) კონცერტები, ფესტივალები, კონკურსები, პროექტები და ა. შ. ასევე ყვავილების, თაფლის, კინო-ფესტივალი და სხვა, სპორტული შეჯიბრებები, სოფლის დღეები, სახელობითი დღეები, რელიგიური და სახალხო დღესასწაულები, იუბილეების აღნიშვნა და სხვა. როგორც ღია ცის ქვეშ, ასევე დარბაზებში. ასევე ხდება წლის მანძილზე საინიციატივო ჯგუფების მიერ შემოთავაზებული ინიციატივების, პროექტების და სხვა სასწავლო-შემეცნებით, სასწავლო-ბიზნეს (სიმულაციური კომპანიების) და გასართობი აქტივობებისა და ღონისძიებების ხელშეწყობა, ფინანსური მხარდაჭერა - მოთხოვნის მიხედვით, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ღონისძიებების მხარდაჭერა, სკოლებისთვის წამახალისებელი პრიზების გადაცემა, ალჭურვილობის დაფინანსება და სხვა. ღონისძიებები არის დატვირთული შოუ-ელემენტებით, კონცერტებით, სპექტაკლებით, წარმოდგენებით, გამოფენებით, სპორტული აქტივობებით, ხელნაკეთი და სასურსათო პროდუქტის, წიგნების და სხვ. გამოფენა-გაყიდვებით და სხვა აქტივობებით, ამისათვის ტერიტორიები მოეწყობა და მოირთვება შესაბამისად (ინსტალაციები, დეკორაციები, სათანადო ინსტრუმენტები, სცენა, სცენის განათება და გახმობა, ჯიხურები/დახლები, გირლიანდები, ბუმტები, ყვავილები, ფეიერვერკი და სხვა); ხდება მუსიკოს-შემსრულებლების, დიჯეის, ანსამბლების, მწერლების, პოეტების, კომპოზიტორების, მხატვრების და ხელოვნების სფეროში მოღვაწე ერთეულების (ინდივიდებისა და ჯგუფების) მოწვევა. ღონისძიებას ახალისებენ პერსონაჟები, ანიმატორები და სხვა გმირები (შესაძლებელია ტრანსპორტირებაც - ჯგუფებისა და ტექნიკის); გაიცემა შშმ პირებისათვის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის, იუბილარებისთვის, საპატიო სტუმრებისათვის, საპატიო ბორჯომელებისათვის, სხვადასხვა დარგში დამსახურებული, წარმატებული და/ან სასახელო პიროვნებებისათვის, სხვადასხვა შეჯიბრსა და კონკურსზე გამარჯვებულების (საპრიზო ადგილებზე გასული) და ა. შ. შემდეგი საჭიროებები: სხვადასხვა სახის სასაჩუქრე პაკეტი (ღაწჩა-პაკეტი, ტკბილეული, სასურსათო, სათამაშო, საკანცელარიო და სხვა), სუვენირული საჩუქრები, წიგნები, სხვადასხვა ვაუჩერი, მცირე ტექნიკა, ფულადი ჯილდოები, ყვავილები, მედლები, სიგელები და სხვა; ასევე შშმ პირებისათვის და ბავშვთა სხვადასხვა ჯგუფისათვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით ხდება აქტივობების მოწყობა, კონცერტზე/სპექტაკლზე/ღონისძიებზე უფასოდ დასწრების უზრუნველყოფა; დაიბეჭდება მასალა: ბანერი, აფიშა, ბილეთი, ბროშურა, მოსაწვევი, სიგელი, მომზადდება მყარი მასალის აბრა, საინფორმაციო დაფა, მომზადდება და გამოიცემა რუკა, საინფორმაციო-სარეკლამო ჟურნალი, ალბომი, სხვადასხვა სახის კრებული; სხვადასხვა სახის სარეკლამო, საიმეო ფოტო-მასალის, ვიდეო-რგოლისა და კლიპების გადაღება, ტელევიზიების მოწვევა, ვირტუალური, 3D ტურების და სხვა ანალოგიური მასალის მომზადება და აღნიშნულის განთავსება სახვადასხვა წყაროებზე, მათ შორის ინტერნეტ და სატელევიზიო რეკლამის / კლიპის / რეპორტაჟის / გადაცემის და პრომოუშენის სხვა სახეების უზრუნველყოფისთვის შესაბამისი მომსახურების ხარჯების გაწევა; სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილების მართვის ორგანიზაციაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის წილობრივი თანაზ, დმო-ს მიზანია, სამცხე-ჯავახეთის მხარის მიმზიდველ ტურისტული დანიშნულების ადგილად გადაქცევა, პრომოუშენი სხვადასხვა შესაძლო გზით, ტურისტული პროდუქტების და სერვისების განვითარების ხელშეწყობა და სხვ.	



მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის ზრდის მისაღწევად ინფო და პრეს-ტურებში ჩართულობა (ტურისტული კომპანიები და/ან სააგენტოები, მედიის წარმომადგენლები და სხვა). ასევე, მუნიციპალიტეტის მონაწილეობა სხვადასხვა ტურისტულ ღონისძიებაში ქვეყნის ფარგლებში და საზღვრებს გარეთ (ბაზრობები, გამოფენები, ტურები, ტრენინგები, შეხვედრები და სხვ.). ასევე, საინფორმაციო მასალის უზრუნველყოფა, (ადგილზე ჩამოსული სტუმრებისათვის და/ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასატანად)

- ახალი 2026 წელის ღონისძიება
- ტურისტული სეზონის გახსნა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე
- კლასიკური მუსიკის კონკურსი
- ტურისტული დღეები ბორჯომში (კონცერტების, საღამოებისა და სპექტაკლების ორგანიზება ტურისტული სეზონის განმავლობაში)
- ბორჯომობა
- ბორჯომის ფესტივალი
- სხვადასხვა და/ან გაუთვალისწინებელი ღონისძიებები
- ა(ა)იპ "სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია
- ნაძვის ხის ანთების ცერემონიალი
- სანახაობითი და შემეცნებითი ღონისძიებები (კონცერტი, პერფორმანსი, სპექტაკლი, ლექცია-სემინარი და ა.შ. ცალკე ან/და პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში - "ბორჯომობა", "ახალი წელი" და სხვა).

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მეტი დაინტერესებული მოსახლეობა, გაიზარდა ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში. შექმნილია ბორჯომის მოსახლეობისა და ჩამოსული სტუმრებისათვის სასიამოვნო გარემო. ხელშეწყობილია შპმ პირებისა და ეთნიკური პირების ინტეგრაცია და გაზრდილია მცირე საოჯახო სასტუმროებში ვიზიტორების რაოდენობა.
---	---

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს დაწესებულებების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
05 02 03			1 339,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურისა და ზემოთხსენებულების სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს დაწესებულებების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები . ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ქ. ბორჯომში რუსთაველის ქN107-ში მდებარე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (ს.კ. 64.23.02.973) რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციისათვის შედეგად სასპორტო სკოლისა და ბიბლიოთეკის მოწყობა .	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		რეაბილიტირებული კულტურული დაწესებულებები	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
05 02 04			285.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდის და მოსახლეობის სულიერების ამაღლების მიზნით.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური ორგანიზაციების ფუნქციონირება	



კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ახალგაზრდების ხელშეწყობა (დახმარება)	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			385.1
05 02 06			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილება	
ქვეპროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ, სპორტულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების და ხელოვნების სხვადასხვა დარგში წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა. ამასთან, მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს ახალგაზრდული მულტიფუნქციური ცენტრის ჩამოყალიბებას და განვითარებას, როგორც მნიშვნელოვან სივრცეს ახალგაზრდების განათლების, თვითგამოხატვისა და ჩართულობისთვის. ასევე, მუნიციპალიტეტის მიზანია წარმატებული სტუდენტების მოტივაციის ამაღლება და მათი პროფესიული გაძლიერების მიზნით მათი წახალისება და ხელშეწყობა და სხვა.	
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		3. ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, 5. გენდერული თანასწორობა.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა.	

კოდი	პროგრამის დასახელება	საინფორმაციო მომსახურება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			15,0
05 03			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა		პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;	

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში

განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **6 496.1** ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	6 496,1	5 082,5	5 098,9	5 116,9
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	285,4	-	-	-
06 01 01	ჯანდაცვის ცენტრი	270,4	-	-	-
06 01 02	ამბულატორიული, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურეობის და ჰუმანიტარული დახმარების ხელშეწყობა და რეაბილიტაცია	15,0	-	-	-
06 02	სოციალური დაცვა	6 210,7	5 082,5	5 098,9	5 116,9
06 02 01	მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება	2 993,4	2 200,0	2 200,0	2 200,0
06 02 02	უფასო სასადილოს დაფინანსება	474,4	489,3	505,7	523,7
06 02 03	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	5,6	3,6	3,6	3,6
06 02 05	ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება	550,0	550,0	550,0	550,0
06 02 07	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფა	50,0	50,0	50,0	50,0
06 02 09	18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	328,2	328,2	328,2	328,2
06 02 10	სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	61,0	-	-	-
06 02 11	მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა	482,6	310,0	310,0	310,0
06 02 12	სოციალური დახმარებები	903,1	895,4	895,4	895,4
06 02 13	ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა	250,0	250,0	250,0	250,0
02 06 14	ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერა	68,0	-	-	-
02 06 15	პერსონალური ასისტენტის სერვისის ქვეპროგრამა	38,6			

კოდი	პროგრამის დასახელება	ჯანმრთელობის დაცვა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში



06 01 01			270.4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა.ა.ი.პ ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2 იმუნიზაცია. 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება		

კოდი	პროგრამის დასახელება	ჯანმრთელობის დაცვა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
06 01 02			15,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „შპს "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი"-ს ბაკურიანის სამედიცინო დაწესებულების გამართული ფუნქციონირებისთვის, სერვისების უწყვეტი მიწოდების მიზნით, ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით,ექიმი ტრავმატოლოგის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია უწყვეტი ჯანმრთელობის სერვისის მიწოდება		

კოდი	პროგრამის დასახელება	სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
06 02			6 210.7
პროგრამის განმახორციელებელი	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია		



სამსახური	
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შედეგებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, იძულებულ გადაადგილებულ პირთა სოციალურ დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის მიზანია ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ბავშვის უფლებების დაცვა, ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა, ბავშვის ოჯახის გაძლიერება მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები: • მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება • უფასო სასადილოს დაფინანსება • ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები • მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებული და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება • ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება • 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება • სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფის ხარჯი • 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება • მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა • სოციალური დახმარებები • ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა • ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერა • პერსონალური ასისტენტის სერვისის ქვეპროგრამა • და სხვა.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		2 993.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამით 100 %-ით დაფინანსდებიან ის სოც. დაუცველი პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 160 000-მდე. მაქსიმალური გასაცემი თანხა 5000 ლარი. ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა 160 000-დან 200 000-მდეა დაფინანსდებიან 100 %-ით და მაქს. გასაცემი თანხაა 3000 ლარი. ის ბენეფიციარები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული სოც. დაუცველთა ბაზაში და საჭიროებენ სტაციონარულ მომსახურებას დაფინანსდებიან 70 %-ით. მაქსიმალური გასაცემი თანხა 2000 ლარი. სრული დაფინანსება გაეწიეთ C ჰეპატიტით დაავადებულ პაციენტებს სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ვადით, დიალიზზე მყოფ პაციენტებს (ფისტულის ჩადგმა), აუტისტური სპექტრის და დაუნის სინდრომის მქონე პაციენტებს (სარეაბილიტაციო ცენტრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე) ასევე მინდობით აღზრდაში მყოფ პირებს, 5 წლამდე ასაკის ბავშვებს, ობლებს და მრავალშვილიანი ოჯახის წევრებს, 18 წლამდე შშმ პირებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ შშმ ვეტერანებს, ჩერნობილის ატომურ ელექტროსდგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციების მონაწილეებს. ასევე საპენსიო ასაკის პირებს. მაქსიმალური გასაცემი თანხა 3000 ლარი. 500 ლარამდე წარმოდგენილი ანგარიშგაქტურა დაფინანსდეს სრულად. ქვეპროგრამის მოქმედება არ ვრცელდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მკურნალობაზე, ტრანსპლანტაციის ხარჯებზე, ესთეტიკურ, პლასტიკურ, ქირურგიაზე, კურორტულ მომსახურებაზე და სტომატოლოგიურ მომსახურებაზე (გარდა ყბა-სახის ქირურგიისა), ასევე არ დაფინანსდება არჩეული აყვანილი ექიმის და "ვიპ" პალატის ღირებულება. ბენეფიციართა დაფინანსება მოხდება წელიწადში ერთჯერადად გარდა კარდიოლოგიური მომსახურებისა.		
მოსალოდნელი შედეგი	სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უფასო სასადილოს დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		474.4



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრებისათვის საკვებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ბენეფიციართა უფასო კვება მოხდება უფასო სასადილოში ყოველდღიურად დღეში ერთხელ.
მოსალოდნელი შედეგი	სოციალური ფენის დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		5,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია გარდაცვლილების ოჯახებისთვის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებისთვის დახმარების გაწევა და ხარჯების შემსუბუქება. ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება თითოეულ ბენეფიციარზე - 250 ლარი, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა ხარჯების ანაზღაურება თითოეულ ბენეფიციარზე - 100 ლარი		
მოსალოდნელი შედეგი	დახმარება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		6,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით გათვალისწინებულია 9 მაისთან დაკავშირებით დ/ს ომის ვეტერანებთან გათანაბრებული პირებისთვის 200 ლარით ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულ ვეტერანზე . ხოლო 26 მაისს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი შშმ ვეტერანებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა 200 ლარის ოდენობით თითოეულ ვეტერანზე.		
მოსალოდნელი შედეგი	დახმარება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		550,0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული დახმარება გაიცემა ერთჯერადად იმ ოჯახებზე რომლის ახალშობილი დაიბადა მიმდინარე წლის განმავლობაში. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებას მიიღებს 150-მდე ბენეფიციარი. ახალშობილის შეძენის შემთხვევაში ყველა ოჯახი მიიღებს 1000 ლარს ერთჯერადად პირველ შვილზე, 2000 ლარს მეორე შვილზე, 3000 ლარს მესამე შვილზე, 4000 ლარს მეოთხე შვილზე, მე-5 ახალშობილზე 5000 ლარს და ა. შ. ახალშობილის ოჯახი 12 თვის განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებს 200 ლარს ორი წლის განმავლობაში ბავშვის ორი წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით, რაც გავლენას იქონიებს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ტყუპი ახალშობილის შეძენის შემთხვევაში დაცული იქნეს შვილთა რაოდენობის რიგითობა (მაგ. ტყუპი ახალშობილის შეძენისას პირველი შვილს 1000 და მეორე შვილს 2000 ლარი და ა.შ.) ფინანსური დახმარება გაიცემა იმ შემთხვევაშიც, თუკი დადგენილებით განსაზღვრული ფინანსური დახმარების გაცემის საფუძველი დადგა გასული წლის დეკემბრის თვეში, ხოლო მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ მიღებულია მომდევნო საბიუჯეტო წელს. ამ შემთხვევაში, ფინანსური დახმარება გაიცემა მომდევნო წლის ბიუჯეტიდან.
მოსალოდნელი შედეგი	ახალშობილთა ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგად დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ბინით უზრუნველყოფის ხარჯი	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		50,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სტიქიის , ხანძრის შედეგად და დროებით უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა		
მოსალოდნელი შედეგი	დახმარება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 09		328,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება გაიცემა 250 ლარის ოდენობით და ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით 50 ლარით იმ ოჯახებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტონგო ქულა 0-დან 160 000-მდე. ხოლო 200 ლარის ოდენობით და ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით 50 ლარით დახმარება გაიცემა იმ ოჯახებზე, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. ასევე 200 ლარით ყოველთვიურად დაფინანსდებიან 18 წლამდე ასაკის ის სამშვილიანი ოჯახები, რომელთაც ერთ-ერთი შვილი ჰყავთ შშმ პირი. სოციალური დახმარების ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების თანადგომა, ფინანსური დახმარების გაწევა,დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება შობადობის წახალისების გზით.		
მოსალოდნელი შედეგი	დახმარება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 0 10		61.0
ქვეპროგრამის	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია		



განმახორციელებელი	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახის ერთჯერადი მატერიალური დახმარება
მოსალოდნელი შედეგი	დახმარება

ქვეპროგრამების დასახელება	კოდი	მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 11		482,6
ქვეპროგრამების განმხორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოციალური დახმარების პროგრამის ძირითადი მიზანია მოსახეობის თანადგომა, ფინასური დახმარების გაწევა და სხვადასხვა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განცხადებით მომართვამდე უწყვეტად 1 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრები ან მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე რეგისტრირებული მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფას. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებენ: 1.1 ყველა მოქალაქე სტაციონარში წოლის შემდგომ დაფინანსდებიან 200 ლარით ერთდჯერადად. 1.2 დიალუზზე მყოფი პაციენტები 1.3 მედიკამენტებით შეძენისათვის კვარტალში ერთჯერადად დაფინანსდებიან მოქალაქეები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შშმ სტატუსი. კერძოდ: ენცეფალოპათიით, პარკინსოსნის დაავადებით (კანკალა ტიგიდული ფორმა) და 18 წლამდე ასაკის ეპილეფიით დაავადებული პაციენტები 1.4 დაფინანსდებიან ის ბენეფიციარები რომლებიც იმყოპვებიან მუდმივად მწოლიარე მდგომარეობაში და არ ექვემდებარებიან გადაადგილებას. 1.5 მედიკამენტებით უზრუნველყოფა განხორციელდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ საპატოი წოდების მოქალაქეებზე.1.6 კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ ბავშვების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომლის მიმართაც მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მუშაკის მიერ ბავშვსა და ოჯახს შეფასების შემდგომა შემუშავებული ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა.1.7 განხორციელდეს საპენსიო ასაკის სოციალურად დაუცველი იმ ბენეფიციარების 200 ლარის მედკამენტებით უზრუნველყოფა, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს. 1.8 მედიკამენტების შესაძენად ერთჯერადად 500 ლარის ოდენობით დახმარება გაეწიოთ შშმ ვეტერანებს. გარდა 1.2, 1.3, და 1.5 პუნქტებისა ბენეფიციართა მედიკამენტოზური უზრუნველყოფა მოხდეს წელიწადში ერდჯერადად.		
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დახმარებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 12		903.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოციალური დახმარების ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მათი მორალური და ფინანსური თანადგომა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარებების გაცემა, კერძოდ: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალდაქორწინებულ წყვილებზე, 18 წლამდე შშმ და დედ-მამით ობოლი ბავშვების ყოველთვიური დახმარება და საკურორტო მომსახურება. 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებზე და კრიზისულ სიტუაციაში მყოფ ბავშვებზე "ბავშვთა საერთაშორისო დღე"-სთან დაკავშირებით, 18 წლამდე კრიზისულ სიტუაციაში მყოფი სტატუსის მქონე ბავშვებზე სასწავლო პროცესისთვის ხელშეწყობა, დახმარება გაიცემა მრავალშვილიან და 18 წლამდე შშმ პირების დედებზე "დედის დღესთან" დაკავშირებით. ასევე ხორციელდება ბორჯომის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უჭირისუფლო მიცვალებულების სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება ერთჯერადად. ყოველთვიური ფინანსური დახმარებების გაცემა ხორციელდება: მარტოხელა მშობლებზე, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულ მოქალაქეებზე. 18 წლამდე რეინტეგრირებულ ბავშვებზე, "ცელიაკის" დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებზე, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა და 18 წლამდე შშმ პირთა მშობლების (სოც. დაუცველი 160 000 ჟლამდე) და დედ-მამით ობოლი ბავშვების მეურვეებზე კომუნალური გადასახადის წილობრივი დაფინანსებისთვის და დღის ცენტრი "თებე"-ს და ორგანიზაცია "ხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერა კომუნალური გადასახადების დაფარვის მიზნით, ამასთანავე, ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2-ჯერადად მატერიალური თანხის გაცემას (ახალ წელს და აღდგომას) მრავალშვილიანი ოჯახებზე, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე, მარტოხელა მშობლებზე, 18 წლ შშმ და 18 წლის ზევით 1 ჯგ. შშმ პირებზე, დიდი სამამულო ომის ვეტერანებზე, საქ. ტერ. მთლიანობისთვის ომის მონაწილე ვატერანებზე და მარჩენალდაკარგულ პირებზე(სარეიტ ქულით 160 000მდე)საქ. ტერ. მთლიანობისთვის შშმ ვეტერანებზე (დეენილებიც) ავღანეთის ომის ვეტერანებზე, 9 აპრილს დაზარალებულ პირებზე და ჩერნობილის ავარიის დროს დაზარალებულ მოქალაქეებზე. ასევე, ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კომუნალურ სუბსიდირებას ზამთრის სეზონთან დაკავშირებით.
მოსალოდნელი შედეგი	დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 13		250,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
